ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2579543

ნომერი: AR1389070

თარიღი : 23.03.2016

გაცემის თარიღი : 10.05.2016

გაცნობის თარიღი : 11.05.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით სარდაროვი პ/ნ 01012013209
- ქ.თბილისი,ვაზისუბნის 3მ\რ,15კორპ

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების

მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1389070 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: #01.19.33.013.043) მისასვლელი გზის მოწყობასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს: არქიტექტურის სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან, საავტომობილო მისასვლელი გზის მოწყობა განხორციელდეს, სატრანსპოზრტო ზონა 1–ს გავრცელების არეალიდან (სამანქანო მისასვლელი გზა უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სტანდარტებს, მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებს). ასევე გაცნობებთ, რომ ვინაიდან მოცემული ტერიტორია წარმოადგენს ქ. თბილისის თვითთმართველი ერთეულის საკუთრებას, საბოლოო ნებართვის მოსაპოვებლად, საჭიროა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge